

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის
სხდომის ოქმი N 1

(ქალაქ ფოთში, საახალწლო და სადღესასწაულო
ქალაქგაფორმების სამუშაოების შესყიდვა)

ქალაქ ფოთი
სხდომას ესწრებოდნენ:

15 09 2016 წელი

1. ნიკოლოზ გრიგოლია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ვასილ თოდუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);
3. ზურაბ ჯამბურია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);

კომისიის აპარატის წევრები:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი მაია სულავა, შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ამირან კაკულია.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ ფოთში, საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმების სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების, ელექტრონული ტენდერის გამოცხადების, სატენდერო განცხადების ნიმუშის, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების, ბიჯის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ.

განიხილეს: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 15 სექტემბრის დავალების (რეზოლუცია) შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ქალაქ ფოთში, საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმების სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის, სატენდერო განცხადების, ელექტრონული ტენდერის გამოცხადების, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების, ბიჯის განსაზღვრისა და დამტკიცების საკითხი;

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. ქალაქ ფოთში, საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმების სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით;
2. დამტკიცდეს ქალაქ ფოთში, საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმების სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო განცხადების ნიმუში თანახმად დანართი 1,2-ისა;

3. ქალაქ ფოთში, სწახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმების სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 24198 ლარით, დღგ-ს გარეშე, ბიჯი განისაზღვროს 241 ლარის ოდენობით.
4. სატენდერო კომისიის აპარატმა განახორციელოს ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებული ღონისძიებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე



ნიკოლოზ გრიგოლია

კომისიის წევრები:



ვასილ თოდუა



ზურაბ ჯამბურია